



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 002/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ ლევიშვილი (სტუდენტი)

ფაქტები:

დაზარალებული, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავდა, მისი მოწინააღმდეგე მხარისაგან ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას. დაზარალებულმა კომპენსაციის დროული მიღებისათვის იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მიმართა ადვოკატს, რომელმაც 1000 ლარის ოდენობით ჰონორარის სანაცვლოდ სისხლის სამართლის დავა კლიენტის (დაზარალებულის) სასარგებლოდ დაასრულა. მაგრამ, როგორც კლიენტი განმარტავს - მართალია სასამართლო დავა მის სასარგებლოდ დასრულდა, თუმცა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის მამამ ბინა გაყიდა, რის შედეგადაც, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, კერძოდ, დაკისრებული 12.000 ლარის მიღება შეუძლებელი გახდა. კლიენტის განცხადებით, ადვოკატს ახალი შეთანხმების შესაბამისად, უნდა განეახლებინა სასამართლოში მისი საქმის წარმოება (სამოქალაქო სამართალწარმოებით), მათ შორის წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სააღსრულებო ბიუროში 450 ლარის სანაცვლოდ, თუმცა ადვოკატმა არ განახორციელა შესაბამისი იურიდიული მომსახურება, არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, მოიმიზეზა მოუცლელიობა. კლიენტმა მოსთხოვა ადვოკატს მისთვის გადაცემული ჰონორარის უკან დაბრუნება. ადვოკატის განმარტებით, მან კვალიფიციური მომსახურება გაუწია კლიენტს და ბრალდებულს დააკისრეს 12.000 ლარის გადახდა. სააღსრულებო ბიუროშიც აწარმოა საქმე, დააყადაღა საერთო მეურნეობა, რომელსაც მოვალე მის მეგობარ გოგოსთან ერთად მართავდა, თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ქონება მესამე პირის სახელზე ირიცხებოდა, რის გამოც ამ თანხის ამოღება ვერ მოხდა.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატს უნდა წარმოედგინა კლიენტის, როგორც დაზარალებულის ინტერესები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეზე, გაეწია სამართლებრივი მომსახურება „ზიანის ანაზღაურებისა და კუთვნილი თანხის ამოღების თაობაზე“. მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს მისცა გარანტია, რომ ის ნამდვილად მოახდენდა მოვალისგან თანხის ამოღებას (რადგან მოვალისგან თანხის ამოღება მის კომპეტენციას სცდება, აღნიშნულს ახორციელებს სააღსრულებლო პოლიცია). აგრეთვე, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდის საკმარისი საფუძველი იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს არ განუხორციელებია სრულად საადვოკატო მომსახურება მიღებული ჰონორარის პროპორციულად, ადვოკატს შეუძლია გამოქვითოს მის მიერ გაწეული მომსახურების გასამრჯელო კლიენტისგან მიღებული თანხიდან და დანარჩენი უნდა დაუბრუნდეს კლიენტს. ადვოკატმა ეთიკის კომისიის წინაშე წარმოადგინა გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, იმის თაობაზე, რომ მან მიღებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ნაწილი - ასი ლარი დაუბრუნა კლიენტს და ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს არ დაურღვევია აპეკ-ით გათვალისწინებული ნორმები.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე.

¹ https://gba.ge/pdf/5cb58e53983e2.pdf/002_18,%2005.03.18,%20ar%20aghdzvra.pdf